


ქართულ ფეხბურთში ქველბიჭობა არ ქველდება

დინამო და ოლიმპია ერთმანეთს და ეროვნულ ჩემპიონატს დააყარეს



დუშან უპრინის ახალი
ქართული შთაბეჭდილება


მურამ დოლიძე



პორტუგალიამ სპორტი პოლიტიკისგან განვიდოდა: საქართველო - რუსეთი ჩაგადა მტკვრისპირი და ჰირინეი: ბორჯღალი ეპროვისა და მსოფლიო თასის კიდეზე

უნდა მოეგოთ და მოიგეს კიდეც. არ გაუნადგურებიათ, მაგრამ დამაჯერებლად, 37:23 კი სძლიეს ქართველმა ბორჯღალოსნებმა ესპანელებს და ორ ნაბიჯზე მიუახლოვდნენ მსოფლიო თასს. მას მერე, რაც მამუკა გორგოძემ და მისი თანაგუნდელებმა ეპანელები დაარბიეს, კიდეც ერთმა პირინეელმა, პორტუგალიამ უდაბაბულეს მატჩში შინ რუსეთი 26:23 დასცა და საქართველოსთან ბრძოლის უფლება მოიპოვა.

მაშ, პორტუგალია და არა რუსეთი! მსოფლიო თასზე გამსვლელ ორმატჩიან ჯახში ბორჯღალოსნები „ლობოსებს“ 11 ნოემბერს უმასპინძლებენ და 25 ნოემბერს ესტუმრებიან. ეს ბოლო ზღუდა და გვეჯერა, ჩვენი მორაგბეები ამასაც გადაივლიან. პორტუგალიასთან მარცხიც გვახსოვს, მაგრამ მით უმეტეს გვახსოვს ბოლო შეხვედრაში მათი 40:0 განადგურება.



მურამ დოლიძე



გოლი და ტკივილი

ლეგიონერთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი კახა კალაძეს ჰქონდა და მილანურ დერბოში გამარჯვება „ინტერს“ დარჩა — 4:3.

მატჩის პირველივე წუთზე კახა მახვილი კუთხიდან შეეცადა გოლის გატანას, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ერთ ეპიზოდში ძალიან ეფექტურად ითამაშა — ინტერელი ერნან კრესკო, ფაქტობრივად, პირისპირ რჩებოდა „მილანის“ მეკარესთან და კალაძემ ძალიან მოხდენილად გააუგნებლა ხიფათი ალკმარელმა შოთა არველაძემ „უტრეხტის“ 5:1 განადგურებაში დაიღწა წვლილი — უტრეხტელებს მეორე გოლი გაუტანა. მეორე ტაიმში კი მუხლი ისე ასტკივდა და ლუის ვან გაალმა შეცვალა.

დავით სირაძე ვერაფრით დაეხმარა აუე-ს — ერცგებირგელები არგავარდნისთვის ბრძოლაში ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი „ოფენბახთან“ 1:3 დამარცხდნენ. სირაძე პირველ ტაიმში გააფრთხილეს.

ზურაბ მენტეშაშვილის და ალექს ამისულაშვილის „მინიკმა“ ფრეკი გაახერხა მოსკოვის „სპარტაკთან“, მაგრამ რუსული პრემიერლიგიდან ოფიციალურად გავარდა.

ყაზანის „რუბინმა“ ისე მოუგო მოსკოვის „ტორპედოს“ 2:1, რომ არც ერთ ქართველს არ უთამაშია — სამატჩო განაცხადში ჩვენებურთაგან ოდენ ნუკრი რევიშვილი იყო.

უკრაინაში გოლით გამოირჩა ვასილ გიგიაძე, „კრივბასი“ მისი ჩაუქობით დაწინაურდა, თუმცა 1:3 დამარცხდა ვასოს ყოფილ გუნდ „ტავრიასთან“.

ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ კი სტუმრად ირაკლი მოდუბაძის გოლით აართვა ქულა „დნიპროს“. მოდუბაძემ 78-ე წუთზე პენალტით იხვირა.

დავით თავართქილაძე ბარაბაძე დნიპროელია

18 წლის ტანმალალი ცენტრფორვარდი რევაზ ბარაბაძე „დნიპროში“ რამდენიმე თვის წინ მივიდა და გასინჯვის შემდეგ დნიპროპეტროვსკელებმა ის გუნდში აიყვანეს. შაბათს „დნიპრომ“ ბარაბაძე განაცხადში შეიყვანა და გუშინ დებიუტიც შედგა: „დნიპრო“ — „ზაპოროჟიეს“ (1:1) მატჩის 83-ე წუთზე რეზო შეცვალა შევიდა.

ბარაბაძის მუდმივი ნომერი „დნიპროში“ 45-ია.

ლუკა თალაგაძე

საქართველოს უმაღლესი ლიგა 18 ჩემპიონატი 16 რე. 10 ტურ

შუთახი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ტირაპი. 2 000 (ტევადობა 20 000)

გორკადო 0:1 ზესტაფონი

0:1 ფიფია (74)	
ტორპედო: კოდალაგი, გოგია, ფარულაძე, გამეზარდაშვილი, ბერუაშვილი, გურული, ლაღაძე (დოლონაძე 46), გ. ჩხეტიანი, ზ. ჩხეტიანი, კრასოვსკი (ზ. ქუთათელაძე 46), ნიქარიშვილი (სათადარიგო: ქვილითაია, მუშველიანი, ა. კვერნაძე, ნ. ნადირაძე, ცეცელია)	ზესტაფონი: გ. ჭანტურია, საჯაია, შ. დონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე, ბ. ნოზაძე (განუგრაფა 46), ვიერია, ნ. კვასცაძე, ფიფია (ბ. გოცირიძე 89), იონანიძე (სათადარიგო: რ. კვასცაძე, სანტოსი, დაუშვილი, ძამსაშვილი, იმედაძე)
მსაჯიმბი: ლ. ფანიავილი; ზ. მენტეშაშვილი, ზ. ერქვანია; ვ. ელისაბედაშვილი	მწვრთნელი: იური კვერნაძე
გაწმინდები: გ. ჩხეტიანი (52), თოდუა (70)	მწვრთნელი: თემურ მახარაძე
დაზარალებული: რ. ტალიაშვილი; დირმტორი: მ. ნორაკიძე	



სამი ჩხეტიანი ერთ კადრში: კახა, გივი და ზეიალი

ე რობორტო ძაან დაბოროდა ბოროი...

ტარიელ შოთენიაშვილი გორიდან

სტალიონზე მოსული მცირეერიცხოვანი მაყურებელი „დილას“ პირველ გამარჯვებას ელოდა, თუმცა კვლავ გაუცრუვდათ იმედი, რადგან თამაში საკმაოდ უფერული გამოვიდა. სახიფათო მომენტები იშვიათად იქმნებოდა, მოთამაშენი ბევრ შეცდომას უშვებდნენ...

პირველი, ასე თუ ისე, სახიფათო მომენტი „დილამ“ შექმნა. მე-9 წუთზე კურტანიძემ ფლანგიდან ჩააწოდა და ბალიაშვილმა შეუჩერებლად დაარტყა, მაგრამ არაზუსტად. მალე სტუმრებმა შექმნეს მომენტი — გაგუას მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი შორეულ ძეგლთან მყოფ კობერიძეს მიუვიდა, რომელმაც დაახლოებით სამი მეტრიდან თავურით ხარისხს გადააცილა.

დარჩენილი დროც უინტერესოდ გაილია და ასეთივე გამოდგა მეორე ნახევარიც.

55-ე წუთზე „დილას“ კვლავ მი-

ზაზა მინცაძე კუთხიდან

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და ასე გაგრძელდა პირველი ტაიმის შუამდე. მე-3 წუთზე სახიფათო საჯარიმო დაინიშნა ზესტაფონელთა კარის მიმართულებით, მაგრამ დავით გამეზარდაშვილმა არაზუსტად დაარტყა.

მე-10 წუთზე მასპინძლებს გოლის გასატანად ერთ-ერთი ყველაზე რეალური შესაძლებლობა მიეცათ. მანუჩარ წიქარიშვილმა ბოლომდე იბრძოლა, მოულოდნელად მცველს ბურთი მოჰპარა და მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, დარტყმითაც ნორმალურად დაარტყა, მაგრამ გრიგოლ ჭანტურიამ ითამაშა უბაღლოდ.

ათიოდ წუთში საკმაოდ საეჭვო ვითარებაში გივი ჩხეტიანი წააქციეს და მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ ამოდ.

ტაიმის მეორე ნახევარში უკვე სტუმრებმა იგდეს ხელთ უპირატესობა.

ზესტაფონელებმა მწვავედ შეუტყეს. 34-ე წუთზე ნიკა კვასცაძე-

პრესკონფერენცია

თემურ მახარაძე: მეტოქის თამაში ამ სეზონში რამდენჯერმე მქონდა ნანახი. ველოდი, რომ დამაბული თამაში იქნებოდა და ჩემი მოლოდინი გამართლდა. შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ.

იური კვერნაძე: მინდა, „ზესტაფონს“ გამარჯვება მივულოცო. ძალიან საინტერესო და დამაბული თამაში იყო, მომენტები ჩვენც საკმაოდ გექონდა, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ნახევარდაცვაში გვაჯობა და სწორედ ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი.

შუთახი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. თ. ბურჯანაძე. 200 (ტევადობა 8 230)

დილა 0:1 მერანი

0:1 მანკაგა (55)	
დილა: კენსუაშვილი, გ. ლომიძე, კობახიძე, ოლგაშვილი, ბალიაშვილი, ნ. ნოზაძე, საყვარელიძე (ბარამიშვილი 79), კურტანიძე (სომხიშვილი 63), სადალაშვილი, გ. ნინამღვრიშვილი, ა. ლაბაძე (ი. თაყაიძე 66) (სათადარიგო: გარდოსანიძე, ქავთარაძე, მასურაშვილი, ელბაძე)	მერანი: სეფიაშვილი, თურქია, ჯანგიძე, სარალიძე, ბესარაშვილი, კობერიძე, გაგუა, ფურთუხია (სურცილაძე 46), ბურჯანაძე (ქაუთაშვილი 82), ლ. მანკაგა, ტყეშელაშვილი (სულაქველიძე 78) (სათადარიგო: ოსიტაშვილი, ნეფარიძე, შველიძე, შოშიაშვილი)
მსაჯიმბი: დ. სანაია; გ. დოგრაშვილი, ზ. ხუციშვილი; დ. ხარიტონაშვილი	მწვრთნელი: რევაზ მამესწარაშვილი
დაზარალებული: ნოზაძე (89)	მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი
დაზარალებული: დ. სანაია; გ. დოგრაშვილი, ზ. ხუციშვილი; დ. ხარიტონაშვილი	მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი

პრესკონფერენცია

ზურაბ კარტოზია, „დილას“ პრესამსახურის უფროსი: არ შეიძლება ასეთი პენალტის არდანიშვნა და არც მსგავსი ტენდენციური მსაჯობა. ამ ტენდენციურობით ჩაძირულმა და გაუბედურებულმა „დილამ“ კიდევ ერთხელ წააგო.

დავით ეჯიბიშვილი: რთულ შეხვედრას ველოდი. ბიჭებმა თავი არ დაზოგეს და შედეგაც არ დააყენა. მსაჯობის შეფასებისგან თავს შევიკავებ. შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშის ხარისხით — არა.



მიხეილ ბობოხიძის პენალტს მიხეილ ალავიძემ ვერაფერი მოუხერხა

თამაში №1, ჩხუბი №1

კობა ინასარიძე

ესაქვს „დინამოს“ ექვსჯერადი მოგება... ასე იტყვიან ხოლმე, როცა კონკურენტს დაამარცხებ, ქულებს დააკარგვინებ და იქით მიითვლი. „დინამოს“ ფორვარდმა მიხეილ ბობოხიძემ მისივე წაქცევისთვის 28-ე წუთზე დანიშნული პენალტი უნაკლოდ შეასრულა და ამ გოლით გადაწყდა კიდევ ძალიან საინტერესო და დრამატული შეხვედრის ბედი, რომელიც ისეთი ჩხუბით დამთავრდა, ვაი დედას... არადა, ჩხუბამდე ყველაფერი ისე იყო, როგორც ლიდერთა დაპირისპირებას შეეფერება — ბევრი რეალური საგოლე მომენტი, კარგი კომბინაციები, ფეირ პლეის პრინციპების, ბოდიში და, ფეხებზე დაკიდებაც... მოკლედ, მიყვებით...

გუშინდლამდე წაუგებელმა „ოლიმპმა“ თამაში უფრო თამამად და აგრესიულად დაიწყო, რასაც მასპინძელთა კართან ზედღებულად დაიწყო, რასაც მასპინძელთა კართან ზედღებულად დაიწყო, რასაც მასპინძელთა კართან ზედღებულად დაიწყო...

სადაც ტაიმის შუისკენ „დინამოს“ უპირატესობა გამოიკვეთა, ბურთს მასპინძლები უფრო აკონტროლებდნენ და მალევე პენალტს დაამსახურეს. მერე მათვე „ოლიმპის“ კარისკენ ბურთი ცენტრიდან წაიღო, გზად რამდენიმე მეტოქე ჩამოიშორა, საჯარიმოს მიახლოვებულმა კი ჩინებული პასი მისცა ბობოხიძეს, ვინც რამდენიმე

მცველს შუა მოქცეული წაიქცა და არბიტრმა ლამა სილაგავამაც პენალტი უყოყმანოდ დანიშნა. ბობოხიძე — 1:0.

შესვენებამდე სხვა საინტერესო აღარაფერი მომხდარა. ერთხელ იყო, თორნიკე აფციაურმა სოსო გრიშკაშვილს შორიდან და უხერხულად დაურტყა, მეკარემ კი ბურთი მუშტებით მოიგვრია.

შესვენებაზე გიორგი კიკნაძემ თავდამსხმელი ირაკლი სირბილაძე თავდამსხმელ გიორგი კახელიშვილით შეცვალა. „ოლიმპმაც“ მასპინძლებს რამდენიმე წუთი ადრეცა და მერე ისეთი შტურმი მოუწყო, გასაკვირი იყო, გოლის გატანა როგორ ვერ შეძლო. ხუთ წუთში „ოლიმპს“ სამი ისეთი მომენტი ჰქონდა, უკეთესს რას ინატრებდი, „დინამო“ სამჯერვე სასწაულებრივად გადარჩა, თუმცა ამ ეპიზოდებში, რა თქმა უნდა, თავდამსხმელებმაც ვერ ივარგეს, ხოლო ერთხელ გრიშკაშვილმაც იყოჩაღა.

მოვეყვით: 53-ე წუთზე კახელიშვილის ორი-სამი მეტრიდან დარტყმული თავური ძელს გაეხახუნა; 57-ე წუთზე ველა ხუბუას წამოწყებული კომბინაცია აფციაურმა ჭკვიანურად გააგრძელა, ლდო დვალიშვილმა კი, რომელიც მეკარის ცხვირწინ იყო და არავინ მეურვეობდა, ასევე თავით დაარტყა — ბურთი ისევ ძელს გაეხახუნა; 58-ე წუთზე „ოლიმპმაც“ ისევ მარცხნიდან შეუტია, დვალიშვილის თავურისას ბურთი მეკარეს ბეჭზე მოხვდა და მიზანს ისევ ოდნავ აცდა.

საკოდაობა იყო, ამ შტურმის მერე „ოლიმპი“ რომ უფილოდ დარჩა, გამოცდილმა დეუმან უპრინმა აღარ დააყოვნა — მარჯვენა ნახევარმცველი ამბროზიო შეცვალა, მის პოზიციაზე კი ზამირ ჯანაშია ათამაშა. „ოლიმპის“ უმწვეველი მეტევებიც თითქოს ჩაცხრა, თუმცა თამაშის სადავეები მანც სტუმრებს დარჩათ და „დინამოს“ სანერვიულო

არც შემდეგ დაჰკლებია.

მეორე ტაიმში „ოლიმპმა“ „დინამოს“ აშკარად აჯობა, მაგრამ ანგარიში საპირისპირო იყო და აღარც შეცვლიდა. შთაბეჭდილება შეიქმნა, „დინამო“ ანგარიშის შენარჩუნებაზე თამამობდა.

ამ დაძაბულობაში და ერთობ ენერგიულ თამაშში კი „დინამოსაც“ შეექმნა ორი ძალიან რეალური საგოლე მომენტი. ერთხელ მასპინძლებმა „ოლიმპის“ მორიგ ჩაშლილ კომბინაციას კონტრშეტევა მიაყოლეს, მერე ბობოხიძემ თავით მცველს აჯობა და მიხეილ ხუციშვილი სენია ალავიძეს პირისპირ შეატოვა — დინამოელმა ბურთი მეკარეს ხელეშში მიაწოდა. მეორე საგოლე შანსი კი კუთხურს მოჰყვა — კობახიძის თავური, დვალიშვილისა არ იყოს, კარს მილიმეტრებით აცდა.

მატჩი მთავრდებოდა და „დინამო“ ერთხელაც გადარჩა. „ოლიმპმა“ უკვე მარჯვნიდან შეუტია, ვახტანგ კვარაცხელიას საგოლედ ჩინებული პოზიცია ჰქონდა, ახლოდან დაარტყა და ისევ უზუსტოდ.

მერე მერე ბობოხიძე არბიტრმა მეორედ გააფრთხილა და, შესაბამისად, მოედნიდანაც დაითხოვა „ოლიმპმაც“ გაშმაგებით შეუტია. უპრინმა მესამე შეცვლა გააკეთა, წამში კი ჯანაშიაც დამავდა და „დინამო“, ფაქტობრივად, ცხრა ფეხბურთელით დარჩა. ჩვენს ფეხბურთში რატომღაც დამკვიდრდა, რომ ფეხბურთელი თუ წაიქცა, ბურთი მაშინვე მოედნიდან უნდა გადაავდო. თუმცა იმ ეპიზოდში, როცა ჯანაშია დამავდა, „დინამოს“ საგოლედ რეალური შეტევა ჰქონდა წამოწყებული, ჯანაშია კი შუა გზაზე შეჩერდა, ფეხმა აღარ გაუშვა და დარწმუნებული ვარ, მან შეტევა მართლაც ვეღარ შეძლო. ტრავმირებულმა ექიმის დახმარება ითხოვა, ამასობაში კი „ოლიმპის“ მორიგი შეტევა უშედეგოდ დამთავრდა და ბურთი მიუვიდა გრიშკა-

თბილისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მისი. 1 500 (ტვეადობა 25 600)

დინამო 1:0 ოლიმპი

წი ბობოხიძე (28ჰ)

დინამო: გრიშკაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, გიგაური, ნავალოვსკი, ხმალაძე, ამბროზიო (ზ. ჯანაშია 61), ს. კობახიძე, ს. იაშვილი (ლ. ნობაძე 88), ბობოხიძე (მ. ხუციშვილი 67) <i>სათადარიგო:</i> ლორია; აკობია, თომაშვილი, ჯ. დვალი	ოლიმპი: მ. ალავიძე, ქებაძე, გ. ონიანი, რ. ონიანი, მიმინოშვილი (გენაძე 53), ხუბუა, აფციაური, ხოჯავაძე, კვარაცხელია 68), სეთურაძე, დვალიშვილი, სირბილაძე (კახელიშვილი 46) <i>სათადარიგო:</i> ნაჭყვიაძე; კაკაბაძე, გ. თოდუა, მიქიაშვილი
--	---

გაწმინდები: აფციაური (18), მერე ბობოხიძე (33), შ. კაშია (37), ქებაძე (62), გრიშკაშვილი (79), მერე ბობოხიძე (83)

ბაძიძეები: მერე ბობოხიძე (83)

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. ჯგერაძე, მ. ურუშაძე; ა. კრიჭავაძე

დამამსახურებლები: ს. კობახიძე; დინამო: მ. ბურჯულიანი

შვილს, რომელმაც მაშინვე აუტში მოისროლა, თანაგუნდელი ტრავმირებულიაო. ფეირ პლეიც აქ დააღრღვია „ოლიმპმა“ — თამაში სათავესოდ გააგრძელა. „დინამომ“ კი ჯანაშია ისევ ვეღარ გამოიყენა, ის მოედანზე ტყუილ-უბრალოდ იდგა... სულ ბოლოს „ოლიმპმა“ ბურთი „დინამოს“ საჯარიმოში ცენტრიდან ჩაჰკიდა, ფეხბურთელები ორთაბრძოლისას წაიქცნენ, სტუმრებმა პენალტი მოითხოვეს — სილაგავამ ეს ყურიდან ყურში გაატარა,

თამაში კი იქვე დამთავრდა... ოლიმპელები მსაჯს სწორედ ბოლო ეპიზოდის გასარჩევად შეძიებდნენ, თუმცა სად ყოფილხარ, წუთშივე მსაჯობა ყველას დაავიწყდა — გუნდი გუნდს წაეკიდა, ატყდა ჩხუბი ოცი ოცზე... ფეხბურთელები გასახდელიდან დასისხლანებული გამოდიოდნენ. ღიად უსიამოვნო ამბავი მოხდა და საინტერესოა, რა რეაქცია მოჰყვება ამ „მობანას“, სადაც, მგონი, ერთი ახალი არ უხმარიათ, თორემ...

პრესკონფერენცია

გიორგი კიკნაძე: პირველ ყოვლისა, ვულოცავ „დინამოს“ გამარჯვებას. ძალიან დაძაბული და საინტერესო თამაში გამოვიდა. ჩვენ, რომ იტყვიან, „ოლიმპს“ უნდა მოეგო, ამას ვიმსახურებდით. მსაჯობაზე კი ლაპარაკი არ ღირს, თუ ასეთი მსაჯობაა, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. არბიტრმა ჩვენ სასარგებლოდ ორი ასპროცენტის პენალტი არ დანიშნა. ხოლო, რაც ნამატჩვეს მოხდა, ის არ მოხდებოდა, მსაჯს რომ ნორმალურად ემსაჯა.

დუმან უპრინი: „ოლიმპს“ ამ მატჩამდე წაგება არ ჰქონდა და სულ ერთი გოლი მიეღო, აქედან გამომდინარე კი ვიცილით, რომ ძალიან რთული შეხვედრა გველოდა, ამისთვის მზად ვიყავით. ვფიქრობ, პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ, ხოლო შემდეგ პრობლემები შეგვექმნა. თანაც ერთმა ისეთმა ფეხბურთელმა ჩამათავრა მატჩი, რომელსაც თამაში აღარ შეეძლო. ვულოცავ ჩემს გუნდს ამ გამარჯვებას, ბიჭებმა მართლაც სული და გული ჩააქსოვეს დღევანდელ მატჩში.



თბილისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. აპრი. 900 მაყურებელი

ამერი 3:0 ლოკომოტივი

1:0 დოლიძე (36), 2:0 ტატანაშვილი (77), 3:0 მჭედლიშვილი (89)

ამერი: ქვაჩაზია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დეკანოზიძე, ბოლქვაძე (ჯულაძე 69), დოლიძე, რ. წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 73), ს. დავითაშვილი (დ. მჭედლიშვილი 83), სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; გეგმაზია, გაბისკირია, სილაგავა

ლოკომოტივი: გვარამაძე, თუბერბიძე, ებრაღიძე, შვიციანი, დ. ფოფხაძე, კ. ავალიანი, გულორდავა, ებანოიძე (ჩივაძე 73), ალავერდაშვილი (ყიფიანი 83), მ. ულენტი, ყენია (კალანდია 91), სათადარიგონი: გიგინეიშვილი; მინაილოვი, დეისაძე, ბახტაძე

მწვრთნელი: დავითნიძე (15), დოლიძე (23), ებრაღიძე (87)

მსაჯეები: მ. ბუქუჩიშვილი; კ. გაბრიძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩიშვილი

დაამკვირვებელი: შ. ბაქრაძე

ილია ნანობაშვილი

მსაჯობა სათუთი თემაა და ზოგჯერ ერთ დასტვენა-არდასტვენას შეუძლია, მთელი ჩემპიონატი წყალში გადაეყაროს.

გუშინ „ამერის“ სტადიონზე მაღალხარისხიანი მატჩი იყო. მატჩის შედეგზე გავლენა მოახდინა, მაგრამ ეს მხოლოდ შედეგზე — ბოლო წუთზე ამერიული დავით მჭედლიშვილი პირისპირ გადმოვიდა დავით გვარამაძესთან, სულ რაღაც ხუთ-ექვს წამში ეპიზოდი დასრულდებოდა, გოლიც ან გავიდოდა, ან არა, ბუქუჩიშვილი კი თამაშში დაამთავრა...

მანამდე ესაც იყო: შესვენებაზე „ამერის“ პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია ჯერ მატჩის დღეულობა მოთხოვნა გააკეთა, შემდეგ კი მეოთხე მსაჯე გიორგი კიკაჩიშვილს დაეკითხა — არ გავიგონიათ, ბუქუჩიშვილი „ამერის“ გულშემამტკივარს რომ შეაგინა?

„ეს უკვე ნამეტანია. ჩემი ყურით გავიგონე, თამაშისას ბუქუჩიშვილმა გულშემამტკივარს გამოხედა და შეაგინა. აბა, გორში ან ბოლნისში გაბედოს რომელიმე მსაჯემა ასე შეგინებ... იციან, რომ ამ სტადიონზე გულშემამტკივრებს დავაკავებთ და ამიტომ ბედავენ ზედმეტს“ — თქვა ზურაბ ფოცხვერიამ და მისი აღშფოთება საკვებით გასაგებია: სად გავიგონია, მსაჯე ქომაგებს აგინებდეს?!

...მე-15 წუთზე ლოკომოტივილმა მიხეილ ულენტიმ კინაღამ მოჰპარა ბურთი გიორგი დავითნიძეს, თუმცა ამერიულთა კაპიტანმა მოასწრო და მეკარე ზურაბ ქვაჩაზიას დაუგორა ბურთი. ამ მომენტში ულენტი-დავითნიძეს შორის კონტაქტი ნაღვალად მოხდა, რკინიგზელი წაქცა, თუმცა სა-

ეჭვოა, იყო თუ არა წესების დარღვევა და რომ ყოფილიყო, მაშინ დავითნიძეს წითელი ბარათი უნდა მიეღო — მსაჯემა კი „ლოკოს“ შეაღწეოდა აირჩია, ამერიულს ყვითელი ბარათი, სტუმრებს — საჯარიმო.

სამაგიეროდ, მეორე ტაიმში ბუქუჩიშვილი „ამერს“ მკაცრად აღარ ექცეოდა, სიტუაცია შეარბილა და, შეიძლება ითქვას, დიმიტრი ტატანაშვილის გოლისასაც აშკარად შეეცდა — სანამ ეს გოლი გავიდოდა, „ლოკომოტივის“ გიორგი ალავერდაშვილს ვლდანელები აშკარად ეუხეშნენ, მაგრამ თამაში არ გააჩერა. მოკლედ, კომპენსაციის მომენტი იყო: მალღობა ღმერთს, უცხოურ ფეხბურთს უყურებთ და იქაც იციან მსაჯეებმა მსგავსი კომპენსაციები, მაგრამ რაღა მაინცდამაინც ცუდი უნდა გადმოვიდოთ, რატომ უნდა იყოს საგარეულო, ვინ სად დაუსტვენს და სად დაადუმებს სასტვენს?!

რაც შეეხება თამაშს, პირველ ტაიმში „ლოკომოტივი“ მხნედ გამოიყურებოდა და „ამერს“, ჰა-ჰა, მასპინძლის კვალობაზე თუ ჰქონდა მცირე უპირატესობა. მე-20 წუთზე დავითნიძემ გივი დიდავას პასით გაიტანა კიდეც, მაგრამ თანამსაჯემა თამაშგარე დააფიქსირა, ნაღვლი გოლი კი 36-ე წუთზე გაჩარხეს „ყვითლებმა“: სწრაფი კომბინაციის შემდეგ გრიგოლ დოლიძემ დახლოებით საპენალტე ნიშნულიდან დაარტყა და გვარამაძემ ბურთის ზეირიანად მოგერიება ვერ შეძლო — 1:0.

...თუმცა ზუსტად ერთი წუთით ადრე იყო მომენტი, რასაც შეემლო, სხვანაირად დაეტრიალებინა მატჩის სცენარი: რკინიგზელთა 16 წლის ლევან ყენიამ დიდებულმა პასით მეკარესთან პირისპირ დაატოვა ულენტი, მაგრამ მის დარტყმულს ზურაბ ქვაჩაზია ძალიან მარჯვ-



გადიანი კაბითილაშვილი ფოტო

ულაგაშო პრინსიპის პლასტიკა: ამოტრიალებული პლასტიკა ერთი უპიტიხვა რჩევით მალსაზ ბუქულიშვილს: საქართველოს ბარე ორ ქალაქში მაყურებელს უამოაგინებ? თუ უამოაგინებ და...

ვლს ზურაბ ქვაჩაზია ძალიან მარჯველ და გონივრულად დაუხვდა.

ყენია ყველაზე საინტერესო ფეხბურთელია „ლოკომოტივში“ და გუშინ მისი ბურთთან ყველა შეხება საზიფათო იყო, მაგრამ ისიცაა, რომ ამერიულს მჭედროდ ჰყავდათ ამოკეტელი. ლევანი მეორე ტაიმში დაიღალა და ამირან მინაშვილმაც შეცვალა, თუმცა... ულენტს რომ მისი პასი შეერო, ვინ იცის...

პირველ ტაიმში გამოსარჩევი იყო რატი წინამძღვრიშვილის ორი არა-ზუსტი დარტყმა და გიორგი დეკანოზიდის საჯარიმოში წაქცევა — ამერიულთა მეათე ნომერს მაისურაზე ქაჩავდნენ, თუმცა მსაჯემა ეს მომენტი საპენალტედ არ მიიჩნია.

შესვენების შემდეგ „ამერი“ უფრო შემართული ჩანდა, მოედნის ცენტრი დაიკავა და ფლანგებიც უფრო აქტიურად აამუშავა, „ლოკომოტივის“ კი მეტი საგოლე შანსი აღარც მისცემია.

გრიგოლ დოლიძე ორჯერ გაიტყა მარჯვნიდან და ორჯერვე სუელიკო დავითაშვილს ჩაუწოდა მწ-

ვავედ, მაგრამ „ამრეზამ“ დარტყმა ვერ მოახერხა.

დიმიტრი ტატანაშვილი და დავით მჭედლიშვილი — ამერიულთა სამეორეტაიმო გოლები ამით იყო, გიორგი ჩიხრაძემ ათთანში მოარტყა

შეცვლები. ტატანაშვილმა 77-ე წუთზე თავზე გადაუგდო ბურთი კარიდან გამოსულ გვარამაძეს, პირე კი დიმაშ საგოლე პასიც მიითვალა, მჭედლიშვილი პირისპირ შეატოვა მეკარეს და 3:0.

პრემიერლიგის შედეგები

ამირან მინაშვილი: პირველ ტაიმში ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა და ის საგოლე მომენტი რომ ვერ გამოვიყენეთ, დავისავეთ. როგორც იტყვიან, ვერ გაიტან, გაგიტანენ. მეორე ტაიმი კი სულ სხვა იყო, თავი იჩინა ჩემი ფეხბურთელების დალილობამ, „ამერის“ კლასმა და ვფიქრობ, უჩვეულო არაფერი მომხდარა — ჩვენ დღეს სარკეში ჩავეხედეთ, ძლიერ მეტოქესთან თამაშმა გვიჩვენა, რა დონეზე ვართ. რაც შეეხება მსაჯობას, ალბათ, ვობს, უფრო ღმობიერები იყვნენ: ამ სეზონში უკვე ვიწვინე, რას ნიშნავს წამყვანი ფეხბურთელების არყოფნა. „ლოკომოტივი“ თითო-ორილა მაღალი კლასის მოთამაშეა და, როცა მათ უმოწყალოდ ვიძვეებენ ან ყვითელი ბარათით მომდევნო თამაშს ატოვებენ, ცუდ დღეში ვარდები.

გიორგი ჩიხრაძე: ველოდით, რომ „ლოკომოტივი“ თამაშს არ გახსნიდა და ამიტომაც შორიდან დარტყმებზე ფლანგებზე აქტიურობასა და სტანდარტულზე გავაკეთეთ აქცენტი. ბიჭები გავაფრთხილეთ, მეტოქეს სწრაფი შემტევეები ჰყავს-მეთქი და აკი ერთი მომენტი კინაღამ გოლად დაგვიჯდა. პირველმა გოლმა დაგვამშვიდა, სივრცე მოგვეცა, რასაც ხან კარგად ვიყენებდით, ხან ვერა, მაგრამ მთლიანობაში გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. გიორგი დავითნიძისთვის წითელი ბარათი ხომ არ უნდა მიეცათ? მსაჯეების შეფასება არ მიყვარს, მით უმეტეს, ვიდუფიერი არ მინახავს, მაგრამ იმ მომენტში დავითნიძის მხრიდან განზრახ უხეშობა არ ყოფილა.



დიმიტრი ტატანაშვილმა დავით გვარამაძეს წამით დაასწრო და ბურთი თავზე საგოლედ გადაუგდო



დავით მჭედლიშვილის პირველი საამსუნო გოლი

სიონის კამ-ერა გოლნისელთა აფრიკული ჰეთ ტრიპი და მათი ნული თელაველებს

გოლნისი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. ტ. სტადიონი. 400 (ტყვაობა 4 000)

სიონი 5:0 კახეთი

1:0 ჩახეში (6), 2:0 ალაგიძე (50), 3:0 ევოზე (76), 4:0 უგრეხელიძე (80), 5:0 ევოზე (84)

სიონი: ბათიაშვილი, კობახური, ლ. ჭელიძე, ჭიჭვიანი (ზ. ჭელიძე 80), რაქვიაშვილი, ვ. უგრეხელიძე, შავგულიძე, ლ. ბაგულიძე, ა. ალაგიძე (კვიციანიშვილი 61), ჩახეში (ბ. ცხადაძე 13), ევოზე, სათადარიგონი: ბობიაშვილი, ქარდავა, ფრიდოლინი, სვანიძე

გოგონები: გიორგი ყიფშიძე

პატივსაცემი: ცინაძე, ტარულაშვილი, ლომიძე (ზურგულაძე 61), მალაქიძე, ნ. დავითაშვილი, კობახიძე, კვიციანიშვილი, ტყეშელაშვილი, ბიძინაშვილი (ა. ბურნაძე 61), ამირანიძე, ნუნუაშვილი (ძამბაშვილი 74)

სათადარიგონი: ქუფარაშვილი, გერგიშვილი, ცისკარიშვილი, მ. ხიდუშელი

გოგონები: ჯემალ მასხარიანი

გაწმინდები: ევოზე (38), ცხადაძე (41), შავგულიძე (61)

მსაჯები: ტყეშელაშვილი (44)

მსაჯები: ო. ხეციაძე, ნ. გაგანიძე, ა. გუნთაძე, ა. ნონიკაშვილი

დირექტორი: გ. კვტაშვილი

მინილ შორეულიანი ბოლნისიდან

კახელეგმა მოგება რა არის, ვერ არ იცის და, ცხადია, „სიონი“ ამ შეხვედრის უპირობო ფავორიტად ითვლებოდა. ქვემოქართვლებმა ლოგიკურად კი იმარჯვეს, მაგრამ...

კახელეგს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და პირველივე წუთიდან გახსნილი, შემტევი თამაში შესთავაზა მეტოქეს. ორივე გუნდი სწრაფად მოძრაობდა და მაყურებელმაც საინტერესო თამაში ნახა.

ბოლნისელთა მცველები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, თელაველთა დაცვას კი მე-6 წუთზე „ჩაქიანა“ — დავით ჭიჭვიანიშვილის გრძელი გადაცემისას „კახეთის“ მცველებს ერიკ რომელი ჩახეში გაეპარათ, გამოსვლაზე ვერც გიორგი ცინაძემ ივარგა და კამერუნელმა ფორვარდმა თავით გაიტანა.

მალე ჩახეში ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად მოედანზე ბაჩო ცხადაძე გამოჩნდა, რომელსაც პირვე-

ლივე შეხებით შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მეკარის მოგერიებულ ბურთზე ვერ დაამატა.

თამაში ისევ სწრაფ ტემპში გაგრძელდა, მაგრამ სასიფათო მომენტებმა იკლო. მეტაკლებად საინტერესო ეპიზოდი 38-ე წუთზე ვნახეთ — თელაველი ნიკა დავითაშვილის ჯარიმა ოდნავ გადასცდა ხარისხს.

ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ჩახეში ტყეშელაშვილს პირველივე „მალაკატი“ არ აპატიდა და თელაველს გასახდელისკენ მიუთითა.

სანამ თელაველები რიცხვანაკულობას შეეგუებოდნენ, ლაშა ჭელიძემ და გასტონ ევოზემ ორი მომენტი შექმნეს და ტაიმიც მორჩა...

მეორე ნახევრის დაწყება და ხეციაშვილის შეცდომა ერთი იყო. ცხადაძემ სასტვენის შემდეგ თელაველთა კარში გოლი გაიტანა. წესით, მსაჯს მოედანზე რიცხობრივი თანაფარდობა უნდა აღედგინა, რადგან იგივე ქმედების გამო ცხადაძე ერთხელ უკვე გაფრთხილებული ჰყავდა —

მსაჯი ამჯერად სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა.

ბოლნისელებმა რიცხობრივი უპირატესობა უმალ თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. 50-ე წუთზე არჩილ ალაგიძემ მცველებს სლალომით ჩაუარა და მახვილი კუთხიდან ცინაძეს მეორე გაუტანა.

ამ გოლმა სტუმრები საბოლოოდ გატეხა, „სიონს“ რაც უნდოდა, ყველაფერი გამოსდიოდა — თამაშიც ცალ კარში გაგრძელდა.

ალაგიძემ და ვლადიმერ უგრეხელიძემ ფლანგებიდან აიკლეს სტუმართა დაცვა. მათი პასების შემდეგ ცხადაძეს და ევოზეს რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა, მაგრამ ბოლო ფაზაში სცოდავდნენ. გოლის გატანა თავად უგრეხელიძესაც მართებდა, როცა ჯერ ძელს გაართყა, შემდეგ კი თითქოს საჯარიმოში მოცვლეს — მსაჯის სასტენი ისევ დუმდა...

ბოლნისელებმა დაწოლა გააძლიერეს. 70-ე წუთზე ევოზემ ისეთი აცილა, ალბათ თავადაც დიდხანს ემახსოვრება — ხუთი მეტრიდან კარს ზემოთ გაგზავნა ბურთი. ხუთი წუთში აფრიკელმა ფეხბურთელმა შეცდომა გამოსწორა — ლევან ბაგულიძის მშვენიერი პასი საჯარიმოს წინა ხაზთან კარგად დაამუშავა და ნახევარბურთში დააქუხა — 3:0.

მე-80 წუთზე უგრეხელიძის ჯერიც დადგა. ბოლნისელთაგან საუკეთესომ ცხადაძის პასი შეირგო და ცინაძესთან პირისპირ გასულმა მეკარე უმანსოდ დატოვა.

უგრეხელიძემ მანამდე არ მოისვენა, სანამ ევოზეს მეხუთეც არ გაატანა. მარჯვენა ფლანგიდან მეკარის ბაქის წინა კუთხეში მოძებნა თანაგუნდელი და 5:0.

ბათუმი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო. 500 (ტყვაობა 5 000)

ბათუმი 0:1 ვიზ ჯორჯია

0:1 გელაშვილი (65)

ფეიქრიშვილი ვერ გაიტანა პენალტი (40, მეკარე)

ბათუმი: თოთლაძე, ექონია, უ. ლობჟანიძე, გალოგრა, ქორიძე, ჯინჭარაძე, ცანავა (ა. ბაგულიძე 59) ნაჭყვია (ბერიძე 81), კოშკაძე, რ. ჯიქია, ოქრუაშვილი (გოგოლაძე 74)

სათადარიგონი: სომხიშვილი, კუნჭულია, ბეჟანიძე, ფარტუნაძე

გოგონები: ამირან გოგიტიძე

ვიზ ჯორჯია: ბეგიაშვილი, ჯაფარიძე, ა. კვასაძე, დ. ლომია, გველესიანი, დიდიშელაშვილი, ლ. რაზმაძე, გ. დათუნაშვილი, ფეიქრიშვილი (კვალინაძე 89), გ. მელქაძე (ბეჭვია 90), ბერიაშვილი (გელაშვილი 59)

სათადარიგონი: ლურბელიშვილი, ლონდაძე, კაიშაური, ინჯგია

გოგონები: ნესტორ მუმლაძე

გაწმინდები: გველესიანი (36), ლობჟანიძე (41), ჯიქია (61), გელაშვილი (65), რაზმაძე (80)

მსაჯები: გ. გაბაქორია; ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე, კ. ჭაჭუა

ბათუმისთვის პაი-ვიზ ტრადიციას ბრძენობა

ბოლო რაუნდში ბათუმიდან

„ბათუმისთვის“ „ვიზ ჯორჯია“ რომ უხერხული მეტოქეა, ახალი ამბავი არ არის და ზღვისპირელებმა ვერც ამჯერად მოახერხეს ნავის გატეხა.

ვიტელები მობილიზებულად თამაშობდნენ. მათი კაპიტანი დავით დიდიშელაშვილიც გამორჩეულად აქტიური იყო და უამრავი პრობლემა შეუქმნა ბათუმელებს.

მასპინძლებს კარში კი არა, თქვენ წარმოიდგინეთ, კარის მიმართულე ბითაც არ დაურტყამთ ბურთი...

ისე კი, პირველი სასიფათო მომენტი ამირან გოგიტიძის შეგირდებმა შექმნეს — მოედნის ცენტრიდან ნაჭყვიას წამოწყებული შეტევა ვინჯარაძემ გააგრძელა და ჯიქიას მცველმა დაასწრო, რომელსაც მეკარე გრიგოლ ბეგიაშვილიც შეეშველა და ხიფათიც განიშუტა.

ტაიმის დასაწყისში ბათუმელები თუ აქტიურობდნენ, ბოლო თხუთმეტი წუთი ამკარად ვიტელებისა იყო. 30-ე წუთზე დაახლოებით 25 მეტრიდან ჯარიმა დაარტყა დიდიშელაშვილმა, თუმც მეკარემ ბურთი ნახტომით მოიგერია. დამატებაზე

ბერიაშვილმა მისცხო და აქაც თითქმის იყოჩაღდა...

მე-40 წუთზე დიდიშელაშვილი საჯარიმოში წააქცია უჩა ლობჯანიძემ და მსაჯმა გიორგი ვადაჭორიამ თერთმეტმეტრიანი დანიშნა ბურთთან გიორგი ფეიქრიშვილი მივიდა, გაასწორა, გამოექანა, დაარტყა და... ისევ თითქმის!

მეორე ტაიმიც 65-ე წუთამდე სასიფათოდ არც ერთ გუნდს არ შეუტევეს. 65-ეზე კი მოედნის ცენტრიდან დიდიშელაშვილმა ვაჭკოლი პასით შენიშნა ნიკა ველაშვილი. რომელმაც სამ მცველს აჯობა და ბურთი მეკარისგან მარცხენა კუთხეში შეაგდო — 0:1.

„ბათუმი“ გამწვავდა გოლის შემდეგ შეტევა სცადა, მაგრამ ვიტელები მცველები იმდენად ორგანიზებულად და ჭკვიანურად თამაშობდნენ, მასპინძლებს კარში დარტყმის საშუალებას არ აძლევდნენ.

სტუმრებს კონტრშეტევებიც გამოუვიდათ და 83-ე წუთზე გიორგი მელქაძეს ანგარიშის გახრდის შანსი ჰქონდა — კარიდან გამოსულ თითქმის ბურთის თავზე გადავლესა მოუნდობა, მაგრამ ბათუმელთა ტანსაცმელი მეკარე ბურთის შესწვდა.

ბორჯომმა წინა სსოვრება დაამარცხა

ბორჯომი. 29 ოქტომბერი. 15 საათი. შ. ზაინაღლიშვილი. 500 მაყურებელი

ბორჯომი 3:1 ჩხურა

1:0 კიკნაძე (40), 1:1 მესხი (50), 2:1 ნეშვი (78), 3:1 ბაქრაძე (88ა)

ბორჯომი: შეყრილაძე, ნ. ლომიძე, ქარქოზაშვილი, ბაქრაძე, სუხიაშვილი (ტალახაძე 89), ბენდელიანი, ნადირაშვილი (კიკნაძე 25), ზ. ავალიანი, გოგინაშვილი, შ. ჯიქია, ნეშვი

სათადარიგონი: ჩაფიძე, ორმოცაძე, ლაზარაშვილი, ხითაიშვილი, მონგი

გოგონები: ვლადიმერ ხაჩიძე

ჩხურა: მამალაძე, მემარნიშვილი, ბრეგვაძე, ს. ბურნაძე, გვეტაძე, ბუცხრიკიძე (მიქაძე 46), მესხი, გ. მანსკავა (ჩხაიძე 69), მარგალიტაძე (სტეფანიშვილი 67), ჩომბიძე, კაკალაძე

სათადარიგონი: დოლაძე, ლ. ვაშაკიძე, სულთანიშვილი, თედორაძე

გოგონები: ხვიჩა ქასრაშვილი

გაწმინდები: ნადირაშვილი, მარგალიტაძე, შეყრილაძე, ჯიქია

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; მ. ელიკაშვილი, ს. სპინიანი; მ. მისურაძე

დაამპირიკები: ე. ხილაგავა

ოთხე პაბსაძე ბორჯომიდან

საჩხარის „ჩხურას“ ბორჯომში სტუმრობა საინტერესო სატურნირო მდგომარეობითაც იყო და იმითაც, რომ „ჩხურაში“ ექვსი ყო-

ფილი ბორჯომელი ირიცხება. საწყის წუთებში გუნდებმა შეტევები გაცვალეს. გიორგი მანსკავამ 20 მეტრიდან კარს ოდნავ ააცილა. მიზანმა უმტყუნა ბორჯომელ გიორგი ნადირაშვილსაც...

მალევე ვლადიმერ ხაჩიძემ მნიშვნელოვანი შეცვლა გააკეთა — თამაშში ირაკლი კიკნაძე ჩართო და ამანაც სისხლი გაუშრო ზემოიბრლებს, გოლიც გაუტანა და ბეური თავსატეხიც გაუჩინა. გამოსარჩევი იყო კამერუნელი ოლივერ ნეშვიც.

კიკნაძემ გოლი მე-40 წუთზე გაიტანა, თითქოს არცთუ ისე ძლიერად დარტყმული ბურთი ზურაბ მამალაძის კარის მარჯვენა კუთხეში შევარდა — 1:0.

„ჩხურას“ პირველივე ნახევარში შეეძლო გათანაბრება, მაგრამ სანდრო ბურნაძემ შვიდი მეტრიდან ბურთი კარს გადაავლო. საჩხერელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში მაინც გაათანაბრეს — შოთა ჩომბიძის ნაკურთხურაღს მიხედვით მესხმა მძლავრი თავური მიაყოლა და 1:1.

თამაში დაიძაბა და ამა თუ იმ

კართან ხიფათი ხშირად იქმნებოდა. ჩომბიძემ მეკარეს პირისპირ შეატოვა კაკალაძე, რომლის დარტყმული შეყრილაძემ მოიგერია, მაგრამ ბურთი მაინც კარისკენ წავიდა და... გიორგი სუხიაშვილმა იყოჩაღდა.

კიკნაძემ რამდენიმე საჩხერელს აუარა გვერდი და ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი შოთა ჯიქია მოძებნა, ვისი დარტყმულიც მამალაძის ნადავლი გახდა. დავით ბაქრაძემ ბურთი გაუმართლებლად ჩააბარა კაკალაძეს, მაგრამ ჩხურელებმა ამით ვერ ისარგებლეს...

78-ე წუთზე კი ზურაბ ავალიანის ჩაწოდებული საჯარიმოს შემდეგ „ბორჯომმა“ მეორედ გაიხარა — უმთავლესურედ დარჩენილმა ნეშვამ აუღელვებლად გაიტანა — 2:1.

შეხვედრის ბოლო წუთზე კი ნიკა ლომიძე წააქციეს საჯარიმოში და

პენალტი ბაქრაძემ უნაკლოდ დაარტყა — 3:1.

ასე მოიგეს კურორტელებმა პირველი საამსუხრო საშინაო მატჩი.

ამერი	10	8	2	0	19:2	26
ოლიმპი	10	8	1	1	24:2	25
დინამო	10	7	0	3	17:7	21
ხესტაფონი	10	6	3	1	13:3	21
ვიტ ჯორჯია	10	6	3	1	18:12	21
ტორპედო	10	5	3	2	10:6	18
სიონი	10	5	2	3	15:7	17
ლოკომოტივი	10	3	2	5	9:13	11
მერანი	10	3	2	5	8:16	11
ბათუმი	10	2	2	6	9:10	8
ბორჯომი	10	2	2	6	13:21	8
ჩხურა	10	1	3	6	7:18	6
დილა	10	0	2	8	4:26	2
კახეთი	10	0	1	9	9:32	1

2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპი




საქართველო 37:23 ესპანეთი



28 ოქტომბერი. «მინილ მისი». 9 000 მაყურებელი. მსაჯი: პიტერ ალანი (შოტლანდია)

საქართველო: ურჯუკაშვილი, შვინინი, გიგაური, ი. გიორგაძე, ხამაშურიძე, ბარკალაია, სამხარაძე, უდესიანი, ზ. მაისურაძე, ურუშაძე, გორგოძე, ზედგინიძე (კაპ), ზერაქაშვილი, ა. გიორგაძე, შველიძე

ესპანეთი: სემპერე, მოტა, ენსისო, კანოსა, ალვარესი, როკე, ფიხო; ასტარლოა, მატა, კამარო, ბერნასკონი, ენუი, სალაზარი, სიდრე, ბურგალეტა



ქართულმა სპამ ესპანეთი აკაფა...

ესპანურ ლელოსთან, მაგრამ ჯარიმის დარტყმა არჩიეს და მასო ურჯუკაშვილმა გაიტანა. ოთხ წუთში მასომ ჩვენი მესამე ლელო (კოპალიანი) გარდასახა, ხოლო კიდევ 3 წუთში თავისივე დაწყებული იერიში თავადვე ლელოთი დაასრულა და გარდასახვით დააგვირგვინა. მასოს იმ დღეს დარტყმა არ გაუცულებია, ოთხივე ქართული ლელო გარდასახა და ორი საჯარიმოც გაიტანა. ლელოც მივათვალეთ და ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა ბორჯალოსანმა 19 ქულა პირადად ატეკრა ესპანეთს.

მალხაზ ურჯუკაშვილმა ბორჯალოსნებს 19 ქულა მოუბოგა

პალ-ლონით მეტოქეზე აღმატებულმა ქართველებმა ესპანელებს თამაშის უფლება და საშუალება მისცეს და ამკარად სუსტი მეტოქისგან საკუთარ ჩათელის მოედანში ორი ლელო მიიღეს, მაგრამ მთავარი ამოცანა თავდაჯერებით შეასრულეს, მოწინააღმდეგე დაამარცხეს და კიდევ უფრო მიუახლოვდნენ 2007 წლის საფრანგეთის მსოფლიოს თასს. ბორჯალოსნებს საფრანგეთში მოსახვედრად ერთი მეტოქეა ჰყავთ დასამარცხებელი — პორტუგალია, რომელთანაც წაგებებიც ახსოვთ, მაგრამ ბოლოს 40:0 გაუნადგურებიათ.

ხევარში ბორჯალოსანთა ნახევარზე გადმოსვლაც უჭირდათ, მაგრამ რამდენჯერაც გადმოვიდნენ, იმდენჯერ საჯარიმო დარტყმის უფლება დასტყუეს ქართველთა დაცვას და დიდი თავბატიეი და სალელოვე შემართება არ გამოუჩინიათ, ყველა საჯარიმო კარში დაარტყეს. ესტებან როკემ 40-ოდ მეტრიდან მე-7 და მე-10 წუთებზე ორჯერ გაიტანა და ესპანელები 6:0 დაწინაურდნენ.

უპირატესობა ქულაზედ აქციეს. სათქმელია, რომ ბორჯალოსნები გაცილებით მეტ ლელოს მოინადირებდნენ, მაგრამ შეტევათა დასკვნით ფაზაში ბევრს სცოდავდნენ. ესპანელები კი ტაქტიკური დარტყმებით ასე თუ ისე ივერიებდნენ ამკარად ძლიერ მოწინააღმდეგეს. პირველი ტაიმის ბოლოს როკემ და ურჯუკაშვილმა თითო საჯარიმო გაცვალეს და გუნდებიც შესვენებაზე ასე გავიდნენ — 17:9

ამას ჩვენებური ზვიად მაისურაძის გასინბინება მოჰყვა. სტუმრებმა ამით ისარგებლეს და 14-კაცა საქართველოს კიდევ ერთი, ამჯერად ძალისმიერი ლელო დაუდეს — 34:23. თითქოს ყველანაირად ჩაგრავენ ბორჯალოსნები მეტოქეს, მაგრამ გავიხედეთ და, სხვაობა 11 ქულამდე შემცირდა. ამას ისიც დაერთო, რომ მაისურაძე მოედანზე ზვიადანად შემობრუნებულაც არ იყო, მსაჯმა ახლა რატი ურუშაძე რომ გასინბინება... მაგრამ ესპანელებს მაინც არ მისცემდათ მატჩის ხსნის შანსი. თამაშის დამთავრებამდე ხუთიოდ წუთით ადრე ირაკლი გიოგრაძემ მოხდენილი არეკნი ჩააჭვდა მათ კარში.

...დარჩა პორტუგალია

28 ოქტომბერი. ლისაბონი პორტუგალია 26:23 რუსეთი „ცბიერმა“ პორტუგალიელებმა შინ უდრამატულეს ბრძოლაში დაამარცხეს რუსი „მუჟიკები“ და ქართველებთან შეტაკების უფლება მოიპოვეს. ამგვარად, ბორჯალოსნებს 2007 წლის მსოფლიოს თასისკენ მიმავალ გზაზე ბოლო მეტოქედ პირინელები ერგოთ და არა რუსები, როგორც ოთხი წლის წინ. შეგახსენებთ, რომ 2002 წლის 12 ოქტომბრის ისტორიულ ჯახში ქართველებმა 17:13 სძლიეს რუსებს და პირველად გავიდნენ მსოფლიოს თასზე.



პალ-ლონით მეტოქეზე აღმატებულმა ქართველებმა ესპანელებს თამაშის უფლება და საშუალება მისცეს

ესპანელები შეცვლაზე შესულმა ავთანდილ კოპალიანამც დააღელვოვა



შაბათის აგზა

შაბათს რაგბი იყო ნამუშაღდეგს და კაი სასიამოვნოდ დღე გამოვიდა. ერთი რომ, ჩვენებს მოგება სჭირდებოდათ და მოიგეს, თანაც, ბევრდღელოთ თამაშში და მეორეც, მზემ კონტად გამონათა ვაკის სტადიონზე და რაღაცნაირი, გემრიელი შეგრძნება გააჩინა. იმას კი არ ვამბობ, ჩვენებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და ამან იმოქმედა-მეთქი. არამედ იმას, რომ უბრალო კაცისთვის, ეს კაი თამაში იყო და მზემაც რომ დაანათა გამახსენდა თუ რაგვარი მადლი და გემო ახლავს შაბათ დღეს სპორტულად მოქოქილ ქალაქს. გამახსენდა ასეთი, უზარმაზარი და დიდი ქალაქები, სადაც შაბათიდან ყველაფერი სპორტით და სპორტული სანახაობით სუნთქავს. ეს ისეთი გემრიელი რამ არის, რომ თუ შემოდგომის მზეც ზედ დაედო, უკეთეს კერძს ვერსად გადაწყვები. ახლა რომ ვთქვა, ამ შეგრძნებამ პარიზი გამახსენათქო, ტყუილი იქნება. რა თქმა უნდა ლონდონი გამახსენდა. საერთოდ, მრავალმილიონიან ქალაქში სპორტის ღონიერობა და შემწნევა ძნელია. ეგ პარიზიც ეგეთია. პოდა, ლონდონი კიდევ სხვანაირია. იცით, რას ვამბობ?

საქართველოს ჩემპიონატი

წინასწარ დანახული მატჩი დინამო ისაზ ბოლოს წააგო



ზაზა ცაგარეიშვილის შეგირდებთან კიდევ ბევრი აქვს სალაპარაკო

გურამ დოღვენიძე

27 ოქტომბერი. სპორტის სასახლე

თსუ 76:68 დინამო
20:18 18:20 16:12 22:18

თსუ: ვეფხვაძე, ბ. ბერიშვილი (17), ხეცურიანი (15), შანიძე (14), მათიაშვილი (12); ფანჭულიძე (7), ლეჟავა (7), სანიკიძე (2), არნივიძე, მ. ბერიშვილი (2)
დინამო: ბადრიძე (15), გულისაბეგაშვილი (9), ლაფანაშვილი (13), მურჯიკიანი (1), კოლაშვილი (3); გვირაძე (20), ნოზაძე (2), კეშელავა (5), ბექაური მსაჯები: ზაზა მაჩაიაძე, მაღნაზ ანდლუღაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი
ავიანთბურთი 92:80 სტუ
29:19 25:19 13:21 25:21

ავიანთბურთი: ნიკოლაძე (5), ხოშარია (20), კვიციანი (8), ბარბაქაძე (2), როდუტა (5), ბაბიაშვილი (18), ბერიშვილი (2), ნინიშვილი (3), ი. ბერიშვილი, სუბიშვილი სტუ: ბაბუნაშვილი (3), ბერაია (16), კობრიძე (18), ნოზაძე (14), ახალკაცი (8), ბარბაქაძე (11), ეფრემიძე (5), სეფიკიძე (4), ფოლადიანი (1), დევიძე მსაჯები: მაკა კუბაშვილი, დავით არეშიძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე
აზოტი 119:68 მბაზი
32:22 26:15 33:22 28:9

აზოტი: გამყრელიძე (19), გოგობერიშვილი (21), დიდა (2), მარკოვიშვილი (16), უგრესელიძე (8); ბერიშვილი (12), ცეკვაძე (13), ჭოჭუა (8), ტუფანი (9), მინაშვილი (6), ბოისა (2), ლიპარტიანი (3)
მბაზი: დოლიძე (9), მაისურაძე (4), კორკოტაძე (13), ს. შერმადინი (2), გ. შერმადინი (19); ნინუა (8), ცერცვაძე (4), ხორავა, კორძაძე (5), ხიზანიშვილი (4), პირველშვილი მსაჯები: დავით ბერეგაშვილი, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ირაკლი პირტიაია

ბასული ტურის ცენტრალური მატჩი თსუ — „დინამო“ გახლდათ და ჩვენც ამაზე ვთქვათ, რადგან ასე თუ ისე საინტერესო ამბები სწორედ ამ შეხვედრაში მოხდა.

წინასამატჩო პრესკონფერენციაზე გუნდების თავკაცებმა თავიდან ბოლომდე გამოფრეს ეს შეხვედრა. უფრო კი დინამოელთა მწვრთნელ ზაზა ცაგარეიშვილის ნათქვამი იყო საინტერესო — ჩემს გუნდს ლიდერი აკლია, რომელიც კარგად დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანსო. ცაგარეიშვილმა დაიჩივლა, სამი მეოთხედი ნებისმიერ ფავორიტს ტოლ-სწორად ვეთამაშებით, ბოლოში კი ყოველთვის ვაგებთ, რაც ფსიქოლოგიური მომენტის ბრალიაო.

გამართლდა „დინამოს“ თავკაცის ეს სიტყვები. მთელი თამაშის განმავლობაში მისი გუნდი არაფერში ჩამორჩებოდა მძლავრ თსუ-ს, უმეტესად იგებდა კიდევ, მაგრამ მოატანა ზემოთ ნახსენებმა ბოლო მეოთხედმა და... დინამოელებიც აიჭრნენ.

ფსიქოლოგიური პრობლემაც ესაა: „დინამოს“ ახალგაზრდა მოთამაშეები ლაღად, ყოველგვარი კომპლექსის გარეშე თამაშობენ დასაწყისში და უმეტესად ჯაბნიან კიდევ

მეტოქეს, მაგრამ როცა გადაწყვეტი უამბი ღებდა და გამარჯვება ერთი ხელის გაწვდენაზე, გამოუცდლები იბნევიან, ვერ იჯერებენ, რომ ძლიერ მეტოქეს ჩაგრავენ და... გამოცდილსაც მეტი რა უნდა, აიღებს და იმ უპირატესობას, რომლის მოპოვებასაც გამოუცდელმა მთელი თამაში მოანდომა, თვალის დახამხამებაში გააბათილებს.

მაგალითად მოვიყვანოთ გუნდური მატჩის მესამე მეოთხედი, რომლის საწყისი 7 წუთი „დინამომ“ უძლიერესად ითამაშა, მაგრამ ბოლო 3 წუთი სასტიკად შერცხვა. ფრედ დასრულებული ტაიმის (39:39) შემდეგ დინამოელებმა გაუვალად დაიწყეს დაყენება. ირაკლი გულისაბეგაშვილი, ლაშა კეშელავა და ლექსო ლაფანაშვილი საკუთარ ნახევარზე წამდარდნით აკარგებდნენ ბურთს სტუდენტებს და კონტრშეტევაში მათ გვირაძე და ბადრიძე ეხმარებოდნენ. შედეგად „დინამომ“ 10:2 მოიგო 7-წუთიანი და 48:40 გაიღებდა, თუმცა ეს უპირატესობა ორ წუთში დაენგრა.

...რიჩარდ მათიაშვილმა, როგორც იქნა, მიიღო ფარქვეშ ბურთი, ჩააგდო და სტუდენტებმაც, თითქოს ამას ელოდნენო, ერთიანად აიშვეს. შიო ხეცურიანმა უმაღლესი ნაპრალები ცხვირის ფარსავით დაფანტულ „დინამოს“ დაცვა, ბესიკ ლუქვაძემ ერთი-ორი სამჭულაიანი გაისროლა და გადაწყვეტ მეთხედამდე დარჩენილი სამწუთიანი თსუ-მ 14:2 მოიგო.

ბოლო ათწუთიანი თსუ-ს 4-ქულიანი უპირატესობით დაიწყო, მაგრამ ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან დინამოელები უკვე გატყდნენ და თითქმის ყველა დარწმუნდა სტუდენტების გამარჯვებაში. ყველაფერი კი სირენამდე სამიოდ წუთით ადრე გაირკვა, როცა თსუ-ს უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია.

დანარჩენ მატჩებში კი საინტერესო არაფერი მოხდარა. აბა, იმას რა თქმა უნდა, რომ ჩემპიონატის უთუშეყო ფავორიტი „ზოტი“ „მაკაბის“ მოუგებდა, უფრო სწორად კი, შერცხვებდა. რუსთაველთაგან ვისაც არ დაეხარა, ყველამ უხვად იხვეჭა ქულები. განსაკუთრებით კი რამაზ გოგობერიშვილის ქულუხვობა გამოსარჩევი, ვინაც 21 წუთში ზუსტად ამდენი ქულა მიინაგრა.



სელტიქსის ისტორია დამთავრდა რად აუერბახი აღარ არის

შაბათს ვაშინგტონში, საკუთარ სახლში, 89 წლისა გარდაიცვალა უდიდესი საკალათბურთო მოღვაწე არნოლდ „რედ“ აუერბახი, ნა-ს ყველაზე წარმატებული გუნდის „ბოსტონ სელტიქსის“ მესადირკველი, მწვრთნელი, არქიტექტორი, მენეჯერი, პრეზიდენტი, ისტორიკოსი, თილისმა, სული და გული. მხელია, რედ აუერბახზე ილაპარაკო და ერთ საგაზეთო სვეტში ჩაეტიო. მის სამშობლოში მასზე წიგნები, სპორტის ამ სახეობის ისტორია იწერება. აუერბახი წვრილიდან მართავდა „ბოსტონ სელტიქსის“ ყველა იმ გუნდს, რომელიც ჩემპიონი გახდა. სულ 16 ჩემპიონობა, აქედან 8 ზედიზედ (1959-66), რაც უნიკალური შედეგია არა მხოლოდ ნა-ში, არამედ ყველა ამერიკულ პროფესიულ ლიგაში.

რედ აუერბახი, წარმოშობით მინსკელი ებრაელი ემიგრანტების შვილი, იყო პირველი კაცი, ვინც ამერიკულ პროფესიულ სპორტში შავკანიან მოთამაშეს გაულო კარი, ზურგზე ხელი დაკრა და უთხრა, მიდი, ითამაშეო. 50-იანი წლების შუაწელს (1956) „ბოსტონში“ პირველი შავკანიანი ლეგენდა ბილ რასელი მიიყვანა და მისი მხრებით და რედის გონებით „სელტიქსმა“ 1957 წელს პირველი ტიტული მოიგო, 59 წლიდან კი მოკვდა და...

1966 წელს აუერბახმა მწვრთნელის სკამი რასელს გადაულოცა, თავად კი გენმენეჯერობა იკისრა და 1984 წლამდე დაუღალავად აშენებდა გუნდებს, რომლებსაც ყველას ეზინოდა ნა-ში. „ბოსტონი“ ბოლო ოცი წელია, ჩემპიონი არ გამხდარა. ანუ ეს ის ხანაა, როდესაც აუერბახმა უკან დაიხია და კლუბის სადავეები სხვებს გადაულოცა.

მუდამ ენერგიული და საქმიანი, მომღიმარი და მყვირალა აუერბახი ამერიკელია მქსიერებაში პირში მხრჩოლაკი სივარით და უდიდესი წარმატებებით დარჩება. არავის მოუგია ნა-ში მასზე მეტი ფინალი (2002 წელს ფილ ჯეკონსმა გაიმგორა მისი მიღწევა — 9 ჩემპიონობა). რედ აუერბახის სახელს ატარებს სეზონის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი.

„ამქვეყნად მხოლოდ ერთი რედ აუერბახი შეიძლება ყოფილიყო — ამბობს „სელტიქსის“ ლეგენდა ლარი ბერდი — და მე ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება, მისი გენია ბოლომდე შეემეცნებინა.“

ირაკლი ფირაზილი

ზაზა ფარულიამ ბოლო გამოსცა 15-იანზე ჩააბარა

ჩინებულად ჩაითამაშა თავისი ბოლო საწინასწარო მატჩი „ატლანტა ჰოქსმა“ და მისმა ძირითადმა ცენტრმა ზაზა ფარულიამ „ქორებმა“ მარლოტელი „ფოცხვერებს“ 105:94 „დაკორტნეს“ და მერვე საგამოფენო მატჩში მე-5 გამარჯვება გაიფორმეს.

ამ მოსამზადებელ მატჩებში „ატლანტას“ თავკაცი მაიკ ვულსონი ექსპერიმენტებს ხშირად მიმართავდა და ხანდახან ისეც მომხდარა, რომ ჩვენებური მოედანზე საერთოდ არ გასულა.


